ხელშეკრულება №43

(CPV92300000 - გასართობი მომსახურებები; CPV92312212 - სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები)

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის № 5088 განკარგულება სსიპ „ საგანმანათლ ებლ ო და სამეც ნიერო ინფ რასტრუქტურის განვითარების სააგენტო სთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე - SMP200005116

ქ. თბილისი **---- დეკემბერი 2020 წ.**

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში- ,,ლიცენზიატი“), წარმოდგენილი **დირექტორის დავით ფარცვანიას** სახით

და

მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელი მფლობელი **შპს „გამომცემლობა კლიო“** (საიდენტიფიკაციო N202210393, შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი“) წარმოდგენილი დირექტორის **ზაზა ხიდურელის** (პირადი N01005010448) სახით და **შპს „წყაროსთვალი“** (საიდენტიფიკაციო N406226560), შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი“) წარმოდგენილი დირექტორის **მარინა ჯანჯიბუხაშვილის** (პირადი N01011058509) სახით ***(გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N601,*** *მუსიკა V-VI კლ.)*, ერთობლივად „მხარეები",

ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს საავტორო უფლების მფლობელ **შპს „გამომცემლობა კლიოს“ და** საავტორო უფლების მფლობელ **შპს ,,წყაროსთვალს“** შორის 2018 წლის 4 აგვისტოს გაფორმებული N04/08/18-601 ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელ(ებ)ისთვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) გადახდა.

1.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის ოდენობა შეადგენს 8300 (რვა ათას სამასი) ლარს. მათ შორის,

ა. მე-5 კლასის მოსწავლის წიგნი - 7300 ლარი

ბ. მე-6 კლასის მოსწავლის წიიგნი - – 1000 ლარი;

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. საავტორო უფლების მფლობელები უფლებამოსილნი არიან:

ა) მოსთხოვონ სააგენტოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის გადახდა საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

ბ) მოსთხოვონ სააგენტოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2.2. სააგენტო ვალდებულია:

ა) საავტორო უფლების მფლობელებს საავტორო ჰონორარის სახით გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს ტირაჟის შესაბამისი ღირებულება.

ბ) დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და პირობები.

2.3. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

3.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო უფლების მფლობელების მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საავტორო ჰონორარი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. მუხლში მითითებული ჰონორარი საავტორო უფლების მფლობელების ანგარიშზე გადარიცხულ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

ა. 4150 ლარი გადარიცხულ უნდა იქნეს შპს „კლიო“-ს შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგ. GE16BG0000000117581400

ბ. 4150 ლარი გადარიცხულ უნდა იქნეს შპს „წყაროსთვალი“-ს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. GE64BG0000000101347101

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულებების შესრულების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ან მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადავადდება აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

მუხლი 6. დამატებითი პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

მუხლი 7. რეკვიზიტები

სააგენტო	**საავტორო უფლების მფლობელი**
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართ. ს/კ 202294980, სახ. ხაზინა: ა/ა 200122900 კოდი: 220101222	შპს „გამომცემლობა კლიო“ მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №191 ს/კ 202210393 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ. GE16BG0000000117581400
_____ დავით ფარცვანია დირექტორიორი	---------- ზაზა ხიდურელი დირექტორი საავტორო უფლების მფლობელი მის: ქ. თბილისი, გარე-კახეთის. ქ. №4 ს/კ 406226560 ს.ს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ. GE64BG0000000101347101 ---------- მარინა ჯანჯიბუხაშვილი